წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ: თემურ ღვინჯილიას

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების
სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. კახა კვარაცხელია ტ
2. ვალიდა კონჯარია
3. ლელა კაკაჩია ტელ.

პ ე ტ ი ც ი ა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა გადადგილების უსაფრთხოებისა და სატრასპორტო მოძრაობის რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით, წალენჯიხაში ტაბიძისა და კვარაცხელიას ქუჩების გადაკვეთაზე და გრანელის ქ. 3 მოვითხოვთ სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის საკითხის გადაწყვეტას.( დაგეგმვა, მონტაჟი, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობა და ა.შ) ფეხბურთის სტადიონთან წრიული მოძრაობის საკითხის გადაწყვეტას აღნიშნული პრობლება აქტუალურია, რადგან ზემოთ აღნიშნულ ადგილებში, არა ერთხელ იყო ავტოავარიის შემთხვევა და აგრეთვე ფეხის მოსიარულეთა გაადაგილებაც არ არის უსაფრთხო.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 86-ე მუხლი მე-4 პუნქტის -„გ" ქვეპუნქტის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტი საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად მოვითხოვთ ზემოთ აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას და პრობლემის მოგვარებას.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობები (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.
3. ფოტომასალა

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. კახა კვარაცხელია
2. ვალიდა კონჯარია
3. ლელა კაკაჩია

პეტიციის წარდგენის თარიღი: 05 ოქტომბერი 2017 წელი





